

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

12. 10. 2017 წელი

139/2-02

----- ქ. თბილისი № -----

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტში თამბაქოს მოწვევის აკრძალვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-21 მუხლისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილების, ამავე მუხლის მე-8 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტების ასევე „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 12 ოქტომბრიდან შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სასახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში აკრძალოს თამბაქოს მოწვევა.
2. „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავდეს და დამტკიცდეს თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოქმედი წესები და განისაზღვროს პასუხისმგებლობის სათანადო ზომები.
3. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებული დანართით /დანართი № 1/ განსაზღვრული მარეგულირებელი წესი.
4. ბრძანების შესრულება დაევალოს საფინანსო-ეკონომიკურ და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურებს.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ № 6.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



რუსუდან თევზაძე

დანართი

დამტკიცებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

N ბრძანებით

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში
თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილების, ამავე მუხლის მე-8 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 12.10.2017 წლის №139/2-02 ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

მუხლი 2. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაემორჩილონ უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.

მუხლი 3. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

ა) გაფრთხილება;

ბ) ხელფასის დაქვითვა 15 ლარის ოდენობით (გაფრთხილებიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

გ) ხელფასის დაქვითვა 25 ლარის ოდენობით (ხელფასის 15 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

დ) ხელფასის დაქვითვა 35 ლარის ოდენობით (ხელფასის 25 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (ხელფასის 35 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა 10 ლარის ოდენობით (გაფრთხილებიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

გ) ჯარიმა 15 ლარის ოდენობით (10 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

დ) ჯარიმა 20 ლარის ოდენობით (15 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა (20 ლარის ოდენობით სასტიკი საყვედურიდან 3 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

თანხის გადახდა განხორციელდეს უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე 10 სამუშაო დღის ვადაში. დავალიანების მქონე სტუდენტი არ დაიშვება კოლოქვიუმებზე, შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე, რაზეც კონტროლის განხორციელება ეკისრება თითოეული ფაკულტეტის დეკანატს.

მუხლი 5. წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომლებიც, თავის მხრივ, დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, მოხსენებით ბარათს წარუდგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის, ასევე დარღვევის საჯაროობაზე უფლებამოსილია დეკანატი.